ტრენერის დოკუმენტი

ცალ-ცალკე ფურცელზე დაწერეთ თითო კითხვა ქვემოთ მოცემული კითხვებიდან და მოათავსეთ ისინი პატარა ტომარაში ან ყუთში.

სავარჯიშო - შეკითხვების ტომარა

1. შეუძლიათ მეძუძურ ქალებს გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება?
2. შეიძლება სამფაზიანი პერორარული კონტრაცეპტული აბების როგორც გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება?
3. შეიძლება მხოლოდ პროგესტინის შემცველი აბების როგორც გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება?
4. შეიძლება დეპო-პროვერას ინექციის დანიშვნა გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების ნაცვლად?
5. როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომელსაც აღენიშნება მწვავე პირღებინება გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების პირველი დოზის მიღების შემდეგ და რომელიც ვერ ღებულობს მეორე დოზას?
6. შეიძლება ქალს ვურჩიოთ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება, თუ მას დაუცველი სქესობრივი კავშირი ჰქონდა იმ დღეს, როდესაც დაორსულების რისკი ძალიან დიდი არ იყო?
7. შეიძლება გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება ერთზე მეტი დაუცველი სქესობრივი კავშირის შემდეგ?
8. შეიძლება გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების გამოყენება სქესობრივი კავშირის დამყარებამდე?
9. თუ გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების შესახებ ინფორმაცია ფართოდ გავრცელდება, შესაძლოა გადაუდებელი კონტრაცეპტული აბების არასწორი ან ზედმეტი მოხმარება გახდეს პრობლემა?
10. არის პრობლემა, თუ ქალი იყენებს გადაუდებელ კონტრაცეპტულ აბებს, როგორც მის სტაბილურ კონტრაცეპტივებს?
11. გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები ურთიერთქმედებს სხვა წამლებზე?
12. შეიძლება ქალმა მიიღოს გადაუდებელი კონტრაცეპტული აბები დაუცველი სქესობრივი კავშირიდან სამი დღის (72 საათის) შემდეგ?

მოიწვიეთ მონაწილეები მიიღონ მონაწილეობა შემდეგ სავარჯიშოში:

- თხოვეთ ერთ მონაწილეს, რომ ტომრიდან ამოიღოს და წაიკითხოს შეკითხვა ხმამაღლა და უპასუხოს მას, ჰკითხეთ მონაწილეებს თუ ეთანხმებიან პასუხს.
- თუ მონაწილეს არ შეუძლია კითხვაზე პასუხის გაცემა, ის გადაეცემა სხვა მონაწილეს. თუ მეორეჯერაც ვერ უპასუხებენ კითხვას, მაშინ თქვენ უპასუხეთ მას და დაეხმარეთ მსმენელს გაიგოს მისი შინაარსი.
- გააგრძელეთ სავარჯიშო კითხვების დამთავრებამდე თუ არ ხართ დროში შეზღუდული.